# თავისუფალი საქართველო

№20 4 - 10 ივნისი 1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


რუსეთ-ჩეჩნეთის დაპირისპირების ბოლოდროინდელ ეპიზოდებს სენსაციურ მოვლენათა ჭრილში განიხილავენ. "ელცინმა ბრწყინვალე მანევრი გააკეთა", "რუსეთის პრეზიდენტი ჩეჩნეთში ჩავიდა," "ითქვა - გაკეთდა" - აღფრთოვანებას ვერ მალავენ რუსეთის საინფორმაციო საშუალებები ბ.ელცინის მორიგი წინასაარჩევნო გადაადგილების გამო. სინამდვილეში კი აქ სენსაციური არაფერია და ყოველივე ჩვენი დღევანდელი ყოფისთვის დამახასიათებელი ტიპიური სურათია - "უკო-ლექსობაში" არეული ურცხვობა, ულირსებობის პოლიტიკურ ოსტატობასთან გაიგივება.

აქვს დიდი მნიშვნელობა, თუ რა ნახა ელცინმა ჩეჩნეთში, ვის შეხვდა, ვის ესაუბრა. მთავარია, რომ ვიზიტი "შედგა". საპრეზიდენტო არჩევნების წინ საჩვენებელი გამოსვლისთვის ესეც საკმარისია. სათქმელი გაჩნდა - ელცინი ჩეჩნეთში ჩავიდა. "დემოკრატიული" ლოგიკით, ყველა სხვა საკითხის "ახსნა" და ყოველგვარი "ეჭვის გაფანტვა" მოხერხდება.

* * *

რაც შეეხება მოსკოვში მიღწეულ შეთანხმებას 1 ივნისიდან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, იგი უკვე

# ელცინის წინასაარჩევნო პირუეტში

დღეს რუსეთის პრეზიდენტისთვის სასიცოცხლო წინასაარჩევნო მნიშვნელობა აქვს ჩეჩნეთში ომის შეწყვეტას, მის თუნდაც რამდენიმე კვირით შეჩერებას. ელცინი ამის გაკეთებას შეეცდება ნებისმიერი დათმობის ფასად, ნებისმიერი გზით, ნებისმიერი ხერხის გამოყენებით; მაგრამ ეს გარეგნულად არ უნდა ჰგავდეს დათმობას, დამარცხებას... ასეთ შემთხვევაში "დემოკრატები" არ იბნევიან, ისინი წაგებული ომების, პოლიტიკური ფიასკოების გადანათვლის დიდოსტატები არიან. საზოგადოებაც ხშირად იტყუებს თავს და ეფლობა სიცრუის მორევში.

რუსეთის პრეზიდენტი კვლავინდებურად მოქმედებს იმ ჩარჩოებში, რომელიც რუსული პოლიტიკის ქვაკუთხედი იყო ყოველთვის - პრიმიტიულობა, მარტივი ...ონებისთვის დამახასიათებელი სიტლანქე და ვირეშკობა. ასე მოქმედებდა იგი ყოველთვის, მაშინაც, როცა აცხადებდა - ჩეჩნეთში ომი შეჩერებულია, ნანატრი მშვიდობა დამყარდა, საარტილერიო დაბომბვები შეწყვეტილიაო. თუმცა კი ყველამ იცოდა, რომ ეს სიცრუე იყო... დღესაც მსგავსი სურათია - გმირის ...ნტიამოსხმული პრეზიდენტი აცხადებს, რომ ჩეჩნეთში ჩავიდა. ამ დროს კი ყველამ იცის, რომ მოგზაურობას თან უსწრებდა უსაფრთხოების მიზნით გატარებული ღონისძიება - მოლაპარაკებაზე ჩასული ჩეჩნეთის პრეზიდენტისა და მისი დელეგაციის მძევლებად აყვანა. ცნობილია ისიც, რომ რუსეთის პრეზიდენტი საშიში ზონიდან საკმაოდ მოშორებულ ტერიტორიაზე იმყოფებოდა - ავტურხანოვ-ზავგაევ-ხაზბულატოვის ნათესავებით და ახლობლებით დასახლებულ სოფლებში, სადაც, ფაქტობრივად, არც ერთხელ არ გამართულა საბრძოლო მოქმედებები. როგორც ჩანს, არც იმას დაირღვა. ამ დღეს სასტიკი ბრძოლა მიმდინარეობდა სოფელ ნოჟაი-იურტში. მდგომარეობა დაიძაბა შალიში. ჩეჩნეთის ინფორმაციის მინისტრის, მ. უდუგოვის თქმით, ნოჟაი-იურტში ბრძოლების განახლების მიზეზი გახდა რუსი სამხედროების მიერ მოწყობილი პროვოკაცია. ამავე დღეს ჩეჩენმა მებრძოლებმა ტყვედ აიყვანეს 26 რუსი ჯარისკაცი. რუსები აღშფოთებულები არიან ამ ფაქტით - ჩეჩნებმა დაარღვიეს ხელშეკრულება, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის გარდა, ტყვედ აყვანილ პირთა გათავისუფლებასაც ითვალისწინებდაო.

"რუსეთის პრეზიდენტის სურვილი ჩეჩნეთში დროებითი სიმშვიდის დამყარებისა იმდენად დიდია, რომ ფედერალური ჯარები 16 ივნისამდე, ალბათ, მართლაც არ განაახლებენ ბრძოლას" - ამბობენ რუსეთის პოლიტიკური მიმომხილველები; მაგრამ, როგორც ჩანს, მთლად ასე არ ფიქრობენ რუსი სამხედროები. ცნობილია, რომ პ. გრაჩოვი მოსკოვში მოლაპარაკებების მიმდინარეობის დროს რამდენადმე განაპირებული აღმოჩნდა რუს ხელისუფალთაგან. 1 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით მან განაცხადა: "დღეს მომხდარი შეტაკებები რუსეთის ფედერალურ ჯარებსა და "ბოევიკებს" შორის მიუთითებს იმაზე, რომ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი ვერც ერთი მხარე სრულყოფილად ვერ აკონტროლებს სიტუაციას და თავის შეიარაღებულ ძალებს". თავდაცვის მინისტრის ეს განცხადება ხელ-ფეხს უხსნის რუსეთის ჯარებს შემდგომი მოქმედებისთვის.

როგორც ვხედავთ, ჩეჩნეთში მშვიდობის დამყარებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. შემდეგი შეხვედრა რუსეთ-ჩეჩნეთის დელეგაციებს შორის 4 ივნისისთვისაა დაგეგმილი, ქალაქ ნაზრანში.

***ნუგზარ წიკლაური***

# ღია წერილი საფრანგეთიდან

## ბატონ ედუარდ შევარდნაძეს პარლამენტის პრესსამსახურს

უკვე მეხუთე წელიწადია, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა კვლავ მოიპოვა და, ვით სუვერენული ერი, დაუბრუნდა მთელი მისი მამაცობით, ღირსებით და რწმენით, თავისუფალ სახელმწიფოთა ოჯახს.

დღეს ილუზია გრძელდება ყოველ ოცნების გარეშე!

ღრმად გულგატეხილი განვიცდი საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას ჩვენი დროშის, ჰიმნის და გერბის შეცვლის თაობაზე.

ეს სამი განუყრელი სიმბოლო, ისევე, როგორც 26 მაისი, დახასიათებაა ჩვენი ეროვნული ღირსებისა, თავმოყვარეობისა და ერთობისა.

ამ სამი სიმბოლოს მკვდრეთით აღდგენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მებრძოლი წინაპრების და მშობლების დაულალავი ლაშქრობის და დიდი მსხვერპლის გაღების შემდეგ. მარად იყოს მათი ხსოვნა!

ცხადია, რომ საქართველოს ბედი უნდა იყოს საქართველოს მიწა-წყალზე დაბადებულების და გაზრდილების ხელში! მაგრამ მითხარით - რატომ შეიქმნა ასეთი აჩქარებით სპეციალური საპარლამენტო კომისია ასეთ არამწვავე და ნაკლებსაჭირბოროტო საკითხის შესახებ? ნუთუ უფრო სასწრაფო და ძირითადი ამოცანის აღსრულებას არ უნდა შეუდგეს საქართველოს ხელისუფლება და პარლამენტი?

სინამდვილეში, რომანტიზმისა და გულგატეხილობის გარეშე, მე ვფიქრობ, რომ ეს მოვლენა მოსალოდნელი იყო და არც გამიკვირდა. ის ლოგიკურად ჯდება სწორედ იმ უკვე კარგად დამუშავებულ ცდებში, ყოველგვარი ყოფილი დემოკრატიული სიმბოლოების წაშლაში, სიმბოლოებისა, რომლისთვისაც ქართველმა ჭეშმარიტმა პატრიოტებმა თავიანთი სიცოცხლე შესწირეს თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენისათვის. თურმე ერთ-ერთმა დამოუკიდებელმა გაზეთმა შეკითხვები შეადგინა ქართველი ხალხის მიმართ. ამაზე ეჭვი არც კი მეპარება. გააჩნია, როგორ იყო ეს შეკითხვები შედგენილი და ვის მიმართ.

როგორ თუ: "ჰიმნს, ძალიანაც რომ მოინდომო, ვერ იმღერებ?!"

როგორ თუ: "დროშის ფერები მოჟამულია?!"

როგორ თუ: "გერბი კი მორალურად მოძველებულია"?!

ნუთუ უმრავლესობამ გადაწყვიტა ჩვენი ეროვნული სიმბოლოების ბედი?

თუ ეს საკითხი არ გადაწყდება ნამდვილი დემოკრატიული რეფერენდუმის გზით, ეს იქნება საქართველოს მოსახლეობის შეურაცხყოფა და მასხრად აგდება.

ალბათ, ახალი ხელისუფლება, რომელიც არის მემკვიდრე 1992 წელს იარაღის ძალით მოსული ხუნტისა, რაღა დასამალავია, რუსული ტანკების დახმარებით, ველარ იტანს ჩვენი სიმბოლოების შუქს.

ვის ემსახურება ასეთი "უცნაური" და "ფანტაზიური" მოქმედება?

***ოთარ პატარიძე***

**საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოს გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე**
**პარიზი, 22 მაისი, 1996**

# პროკურორმა მოითხოვა სასიკვდილო განაჩენი!

ბადრი ზარანდიას და სხვათა სასამართლო პროცესის 3 ივნისის სხდომაზე პროკურორმა თავის საბრალდებო სიტყვაში განსასჯელთათვის მოითხოვა სასჯელის შემდეგი ზომა:

**ბადრი ზარანდია** - სასჯელის უმაღლესი ზომა, სიკვდილით დასჯა;
**კარლო ჯიჭონაია** - სასჯელის უმაღლესი ზომა, სიკვდილით დასჯა;
**ზვიად შეროზია** - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრ შრომა-გამასწორებელ კოლონიაში სასჯელის მოხდით და ქონების კონფისკაციით;
**გურგენ მალანია** - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრ შრომა-გამასწორებელ კოლონიაში სასჯელის მოხდით და ქონების კონფისკაციით;
**გაბრიელ ბენდელიანი** - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრ შრომა-გამასწორებელ კოლონიაში სასჯელის მოხდით და ქონების კონფისკაციით;
**მურმან გულუა** - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრ შრომა-გამასწორებელ კოლონიაში სასჯელის მოხდით და ქონების კონფისკაციით;

# საპროტესტო აქცია აშშ-ს საელჩოსთან

31 მაისს პოლიტპატიმართა ნათესავებმა და ახლობლებმა მოაწყვეს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პიკეტირება. აქციის მონაწილენი მოითხოვდნენ უზენაეს სასამართლოში მიმდინარე პოლიტიკური სასამართლო პროცესებიდან გაძევებული პოლიტპატიმრების - **ბადრი ზარანდიას, ზვიად შეროზიას, გურგენ მალანიას, გაბრიელ ბენდელიანის, მურმან გულუას, კახა ჯიჭონაიას** უფლებების დაცვას და სხდომათა დარბაზში დაბრუნებას. ამ აქციას შეუერთდნენ ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტებიც, რომლებმაც დამატებითი მოთხოვნები დააყენეს: სასამართლო დარბაზიდან ასევე გაძევებული უზენაესი საბჭოს წევრის, **ნუგზარ მოლოდინაშვილის** პროცესზე დაბრუნება და მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრის თაობაზე.

დღის ორ საათზე მოქალაქეთა ჯგუფი მიადგა აშშ-ს საელჩოს ტრანსპარანტებით, რომლებზეც ქართულ და ინგლისურ ენებზე ეწერა: "მოვითხოვთ პოლიტპატიმართა უფლებების დაცვას", "სასამართლო ასრულებს პროკურატურის ფუნქციას", "მოვითხოვთ პოლიტპატიმართა სიცოცხლის დაცვას", "პოლიტპატიმართა სიცოცხლე საფრთხეშია", "ირღვევა პოლიტპატიმართა უდანაშაულობის პრეზუმფცია".

შეკრებილთ უმალ გამოეგება შენობის დაცვა და სამოქალაქო ტანსაცმელში - ელეგანტურ კოსტუმებში ჩაცმული ახალგაზრდები, რომლებიც ჩუმად დადიოდნენ. ზოგი მზესუმზირასაც მიირთმევდა და, რატომღაც, ჩვენგან, ჟურნალისტებისგან სურდათ მოპიკეტეთა ვინაობის დადგენა, თუმცა, თავის გვარსა და სახელს აქციის მონაწილენი არათუ არ მალავდნენ, არამედ სახალხოდ აცხადებდნენ.

" - მე ვარ და ბადრი ზარანდიასი, რომელსაც ფეხი აქვს მოჭრილი, - განაცხადა ერთ-ერთმა ახალგაზრდა ქალბატონმა, - ვითომ კანონის დარღვევასთან დაკავშირებით გააძევეს სასამართლო პროცესიდან, სინამდვილეში გააძევეს იმიტომ, რომ სიმართლეს ითხოვდა. მოჭრილი ფეხიდან ჩირქი სდის, უმძიმეს მდგომარეობაშია. იძულებული გახდა, გადაეფატრა მუცელი, გადაეჭრა ვენები, რათა საავადმყოფოში გადაეყვანათ. მაინც არავითარ შემთხვევაში არ გადავიყვანთო საავადმყოფოში, ასე მითხრა ჯემალ ქარუმიძემ, საქართველოს რესპუბლიკის შს სამინისტროს სასჯელთა აღსრულების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ. აქ არიან სხვა პოლიტპატიმრების მშობლები და ახლობლები. პოლიტპატიმრებიც იმავე მოთხოვნებით შიმშილობენ, მაგრამ მათ არავინ აქცევს ყურადღებას. ამერიკის საელჩოში ორჯერ შევიტანე განცხადება, რომ მოეხდინათ რეაგირება. იძულებული ვხდები, რომ ასეთი გზით მოვითხოვო სამართლიანობა, რათა ჩემი ძმის სიცოცხლე გადავარჩინო. სასამართლო პროცესზე არნახული საშინელება ხდება."

მოპიკეტეებს თან ჰყავდათ მცირეწლოვანი ბავშვები. ამის გამო, თუ აშშ-ს პრესტიჟის გაფრთხილების მიზნით, პოლიციას არ დაურბევია აქცია ჩვეული მეთოდებით, ხოლო საელჩოს ვიცე-კონსული და მესამე მდივანი, ტიმოტი რიჩარდსონი შეხვდა კიდეც მარინა ზარანდიას და აღუთქვა, რომ მის განცხადებას გაავრცელებს და მაქსიმალურ ზომებს მიიღებს საკითხის გადასაწყვეტად. თავის მხრივ, ქ-ნმა ზარანდიამ განუცხადა, რომ თუ არ დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნები, იგი იძულებული იქნება, მიმართოს მშვიდობიანი პროტესტის უკიდურეს ფორმებს.

**P.S.** როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, იმავე დღეს, აქციიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ბადრი ზარანდია გადაიყვანეს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში და ამჟამად იგი იმყოფება მისი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

დასანანია, რომ ქართველ პოლიტპატიმართა უფლებების დაცვა მხოლოდ უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა ჩარევის შედეგად ხერხდება. საქართველოში გრძელდება სამარცხვინო კომუნისტური პრაქტიკა - გარჯა არა საკუთარ ხალხთან შეთანხმებით და მის საკეთილდღეოდ, არამედ მოქმედება საბჭოური თუ საერთაშორისო კონიუნქტურის შესაბამისად - სხვის საამებლად, ან სხვისი კარნახით.

## კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ

1996 წლის 5 ივნისს, დღის 11 საათისთვის (რეგისტრაცია 10 საათზე) აკაკი ხორავას მსახიობთა სახლში, გ. ლეონიძის 11 ა (ყოფილი კიროვის ქუჩა), დანიშნულია კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების კონფერენცია (რიგით მეორე).

ვფიქრობ, ყოველმა ქართველმა (ვინც ჯერაც ქართველია) შესანიშნავად უწყის, რაოდენ მნიშვნელოვანია (მეტადრე ამჟამინდელ საქართველოში) კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების - მისი საკადრისი სახით - არსებობა.

მოვუწოდებ ხსენებული საზოგადოების ყველა რაიონულ და საქალაქო ორგანიზაციას - წარმოგზავნოს თავისი ღირსეული წარმომადგენელი ამ კონფერენციაზე - რათა სათანადო დონეზე ჩატარდეს იგი.

***მუხრან მაჭავარიანი***

28. 05. 19 96. თბილისი

# პროკურატურას და სასამართლოს აშფოთებს რუსეთის ხსენება

**საფიქრალია, რომ სულ მალე მოსამართლე ალადაშვილი მარტო დარჩება სასამართლო დარბაზში ბრალმდებლებთან ერთად...**

ამჯერად მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილმა პროცესში მონაწილეობას ჩამოაცილა ნუგზარ მოლოდინაშვილის საზოგადოებრივი დამცველი ლია ბერუაშვილი, თან ამასაც არ დასჯერდა და გააძევა იგი სასამართლო დარბაზიდან (?!). განჩინება მიღებული იქნა 31 მაისს, მას შემდეგ, რაც 30 მაისს პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა, რომელშიც ნათქვამია, რომ თურმე ლია ბერუაშვილს არ ჰქონდა უფლება, სასამართლო სხდომის შემდეგ ინტერვიუ აეღო 1 მაისის სხდომაზე დაკითხული მოწმე რევაზ ქვანიასგან.

მოსამართლე ალადაშვილი აშკარად მოწადინებული იყო, იმ დღესვე გადაეწყვიტა ეს პრობლემა და მოეცილებინა საზოგადოებრივი დამცველი, რომლის დიქტოფონიც მასზე "პერშინგის" გასროლის ეფექტს ახდენს - აკი ერთხელ, შესვენების დროს, ხელიდანაც გამოსტაცა და მოისროლა კიდეც მისი მხრიდან კანონდარღვევების დამაფიქსირებელი ეს საშინელი იარაღი... მაგრამ ადვოკატებმა და განსასჯელებმა საკმაოდ არგუმენტირებულად დაუსაბუთეს, რომ ლია ბერუაშვილი არ არის იურისტი-ადვოკატი და, როგორც გაზეთის კორესპონდენტი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციის (IGFM) წარმომადგენელი, უფლებამოსილია სხდომის შემდეგ აიღოს ინტერვიუ ნებისმიერი პირისგან. ამასთან, დაცვის მხარემ მოითხოვა, პროკურატურას მიეთითებინა საპროცესო კოდექსის ის მუხლი, რომლის საფუძველზეც დაისვა ეს მოთხოვნა.

როგორც ჩანს, ამ არგუმენტებმა დააფიქრა პროკურატორ-მოსამართლეები და გადაწყვიტეს მეორე დღისთვის უფრო კვალიფიციურად მოემზადებნათ საკითხი. საფიქრალია, რომ პროკურატურაში უკვე ტრადიციად ქცეულმა კონსულტაციებმა უკეთესი ვერაფერი მოაფიქრებინა კანონის "გუშაგებს" და მათ კვლავ ძალისმიერი თავხედობის გზა აირჩიეს: მიუხედავად იმისა, რომ 31 მაისის სხდომაზე ვერც ბრალდებამ და ვერც მოსამართლემ ვერ შეძლო ლია ბერუაშვილის პროცესიდან მოხსნის აუცილებლობის სამართლებრივი არგუმენტირება და საპროცესო კოდექსის იმ მუხლის დასახელებაც კი, რომლის თანახმადაც იქნა დასმული შუამდგომლობა, მოსამართლემ გამოიტანა შესაბამისი განჩინება და ზედ დააყოლა უკვე პირადი განკარგულება - გაძევდეს დარბაზიდან...

რეალური მოტივი, ცხადია, რამდენიმეა, მაგრამ ყოველი მათგანი ცხადზე ცხადია.

ჯერ ერთი: არც ბრალდებას და არც სასამართლოს არ აწყობს დარბაზში ჰყავდეს მათი არაკვალიფიციურობისა და კანონდარღვევების დამაფიქსირებელი პიროვნება, მით უფრო, თუ იგი წარმოადგენს პრესას და საერთაშორისო ორგანიზაციას. ამით და მხოლოდ ამით აიხსნება მოსამართლე ალადაშვილის ბოლოდროინდელი ისტერიული ნაბიჯები - სამართალდამცველ როლანდ გურგენიძის, ჟურნალისტ ანა ჭავჭავაძის გაძევება და დარბაზიდან გაგდების პერმანენტული მუქარა სხვა კორესპონდენტებისა და საზოგადოებრივი დამცველების მიმართ, რითაც იგი ადვოკატებზეც ეფექტურ ზეწოლას განახორციელებს.

მეორე: ლია ბერუაშვილი, ჩანს, სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა სასამართლოს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ნუგზარ მოლოდინაშვილის გაძევების მიუხედავად. მის მიერ ბოლო პერიოდში დაყენებულ შუამდგომლობებსა და წარდგენილ განცხადებებში ოდენ პროცესზე დაშვებული დარღვევები კი არ იყო ჩამოყალიბებული, არამედ ნათლად იყო წარმოჩენილი მოწმეებსა და დამცველებზე ზეწოლის მექანიზმი, რომელსაც მიმართავს სამასართლო, ცხადია, პროკურატურის დავალებით.

მესამე: სულ უფრო ნათლად იკვეთება, რომ ბრალდება და სასამართლო, სისხლხორცეულადაა დაინტერესებული, როგორმე მიჩქმალოს აფხაზეთის ომსა და დასავლეთ საქართველოში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებში რუსეთის შეიარაღებული ძალების აქტიური მონაწილეობა. ამით იყო გაპირობებული ისიც, რომ მოსამართლემ არ მისცა საშუალება ქ-ნ ლია ბერუაშვილს, დაეკითხა მოწმე რევაზ ქვანია, რომელმაც უკვე ინტერვიუში ("თავისუფალი საქართველო" 17, 1996) აღიარა, რომ სოხუმის აღება იგეგმებოდა რუსეთის არმიის გენერალურ შტაბში და მას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ გენერალი კოლესნიკოვი და გენერალი სიგუტკინი. ადრეც და შემდგომაც, მოსამართლეს არაერთხელ, სხვადასხვა არადამაჯერებლი მოტივით, მოუხსნია ქ-ნი ლიას შეკითხვები, როდესაც იგი ხსენებულ კონფლიქტებში რუსეთის ჯარების მონაწილეობას ეხებოდა; ასევე ჩართულა კამათში განსასჯელებთან, რომლებმაც ამის დამადასტურებელი უხვი დოკუმენტური მასალა მიაწოდეს სასამართლო კოლეგიას.

ამდენად, სულ უფრო ნათელი ხდება, რომ საქართველოში არათუ არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება, არამედ, ისიც კი, რაც არსებობს, საეჭვოა, საქართველოს სახელმწიფოს სამსახურში იდგეს. მოსამართლე ალადაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას - მან, როგორც არავინ, მკაფიოდ გამოავლინა, რომ პროკურატურაც და სასამართლოც საქართველოში "ჩრდილოელი დათვის" საადვოკატო კანტორას წარმოადგენს.

---

## სოლიდარობას ვუცხადებთ ბადრი ზარანდიას

### განცხადება

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ქ. თბილისის №1 იზოლატორში, არსებული რეჟიმისადმი პროტესტის ნიშნად, შიმშილობა გამოაცხადა ფაქტობრივი ხელისუფლების სამხედრო ტყვემ, ბატონმა ბადრი ზარანდიამ.

აღშფოთებული ვართ ბადრი ზარანდიას მიმართ ხელისუფალთა მიერ უზნეო და არაადამიანური მოპყრობის გამო და სოლიდარობას ვუცხადებთ მას და მის მეგობრებს საპროტესტო აქციის მოთხოვნათა დაუყოვნებლივ და ეფექტური გადაწყვეტის მისაღწევად.

*პოლიტპატიმრები:*

***მირიან ხინთიბიძე ბიძინა გუჯაბიძე***

---

# რას ამბობენ დაზარალებულები?

**ერთ-ერთ სხდომაზე მოსამართლე ჯ. ლეონიძემ ურჩია ჟურნალისტებს, დაინტერესებულიყვნენ დაზარალებულთა უფლებების დაცვის მდგომარეობით. ამ დროისთვის ჩვენ უკვე გვქონდა რამდენიმე ინტერვიუ 1994 წლის 16 მაისს წალენჯიხის პოლიციის უფროსზე მოწყობილი თავდასხმის შედეგად დაღუპულ პირთა ახლობლებთან (მკითხველისთვის ცნობილია, რომ ბადრი ზარანდიასა და სხვათა საქმეში ერთ-ერთი მთავარი ბრალდება სწორედ ამ მკვლელობაში მათი მონაწილეობაა). დაღუპულთა ოჯახის წევრებს მივმართეთ ერთი და იმავე კითხვით: რას ფიქრობენ წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო პროცესის შესახებ და თვლიან თუ არა დამაჯერებლად განსასჯელთა ბრალეულობას.**

**მზია შონია** (დაღუპული სამოქალაქო პირის, რეზო ხარჩილავას მეუღლე): - მე აქ სამი თვეა იმიტომ დავდივარ, რომ მაინტერესებს სიმართლე. არა ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ ბადრი ზარანდია და ეს ბიჭები არიან მკვლელები, რადგან აქ ურთიერთსაპირისპირო ჩვენებებს ვისმენ. ძიების მასალებში მოწმეები სხვას ამბობენ, ხოლო სასამართლოზე სრულიად სხვა ჩვენებებს იძლევიან. აი, მაგალითად, მოწმე ვაწინძე საერთოდ უარყოფს თავის ხელმოწერას, ამიტომ მე დაბნეული ვარ, აღარაფრისა მჯერა.

ჩემი მეუღლე რევაზ ხარჩილავა მთელი სიცოცხლე წარმოების სფეროში მუშაობდა - რითიც შეეძლო, ყველას ეხმარებოდა. ჩემი აზრით, მას მტერი არ უნდა ჰყოლოდა, რადგან ბევრი სიკეთე აქვს დათესილი.

ჩემს ჩვენებაშიც ვამბობდი და ახლაც ასე ვთვლი, რომ ეს იყო რიგითი თავდასხმა გაძარცვის მიზნით, რაც ასე ხშირი იყო იმ პერიოდში.

**გოგი თოლორდავა** (დაღუპული პოლიციელის ძმა): - მე არავის ტყუილად ციხეში ჩაჯდომა არ მინდა, უბრალოდ, მაინტერესებს სიმართლე. განსასჯელთა ჩვენებებში სერიოზული წინააღმდეგობებია. ეს საქმე არ არის ბოლომდე გამოძიებული, მოწმეები და განსასჯელები სასამართლოზე სულ სხვა ჩვენებებს იძლევიან. არც ის თავდამსხმელი ჩანს, რომელიც შემთხვევის ადგილზე დაიჭრა (ამ ფაქტის უტყუარობას იქ დატოვებული სისხლის კვალი ადასტურებს) - იმას ეცოდინება ყველაფერი. განსასჯელთა შორის კი დაჭრილი არავინ ყოფილა.

**ნატო კვარაცხელია** (წალენჯიხის პოლიციის დაღუპული უფროსის, გ. კალანდიას მეუღლე): - კითხვაზე, დამაჯერებელია თუ არა განსასჯელთა ბრალეულობა, ერთსახოვნად პასუხის გაცემა ძნელია. მათ ჯერჯერობით ვერ მოჰყავთ დამაჯერებელი ფაქტები ბრალის მოსახსნელად. ის, რომ მათი ბრალეულობა ეჭვს იწვევს, აშკარად მიუთითებს ძიების სისუსტეზე. აქედან გამომდინარე, სასამართლოსაც შეიძლება გაუჭირდეს სიმართლის გარკვევა. პარალელურად ძიება გრძელდება და ახალი დეტალების წარმოჩენა-დაზუსტება ნათელს მოჰფენს ამ საქმეს. სასამართლოსგან ველი ჭეშმარიტების დადგენას, რადგან მის ობიექტურობაში ეჭვი არ მეპარება, თუმცა, ძიების სისუსტემ გარკვეული გავლენა მოახდინა სასამართლო პროცესზე.

ტერორისტების მსხვერპლი - ჩემი მეუღლე გოგი კალანდია, პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და რეგიონში პოლიტიკურ ძალთა ცვლილების მიუხედავად, რჩებოდა თავის თანამდებობაზე, როგორც პროფესიონალი და კეთილსინდისიერი მუშაკი. მე, სამწუხაროდ, ბოკუჩავას ჩვენებას ვერ დავესწარი. მინდა აღვნიშნო სხვა მოწმეების მეტად უცნაური და არადამაჯერებელი ჩვენებები. გაურკვეველია, ვინ ახდენს მათზე ზეწოლას.

მე ბოლომდე ვიბრძოლებ, რათა გაირკვეს ამ ბოროტმოქმედების ყველა დეტალი. ოთხი უდანაშაულო ადამიანის მკვლელებმა აუცილებლად უნდა აგონ პასუხი მიუხედავად იმისა, თუ რა ძალები დგანან მათ უკან.

როგორც ვხედავთ, დაზარალებულთა აზრი ბადრი ზარანდიასა და სხვათა საქმის ყველაზე მძიმე ეპიზოდის - წალენჯიხის გზაზე ოთხი პირის მკვლელობის შესახებ, ერთგვაროვანია. ისინი წინასწარ და სამსჯავრო გამოძიებას დამაჯერებლად არ თვლიან და არ არიან დარწმუნებულნი განსასჯელთა ბრალეულობაში. მათ მიმართ წაყენებულ სხვა დანაშაულობათა დამადასტურებელი ფაქტები კიდევ უფრო სუსტია. მაგალითად, ლანჩხუთში მცხოვრები ოთხი მხედრიონელის მკვლელობა ფოთის გზაზე "დასტურდება" საქმეში არსებული აწ გარდაცვლილი ნაროუშვილის ჩვენებით, რომელიც იმ დროს დაკავებული ჰყავდათ. ამიტომ იყო, რომ ერთ-ერთ სხდომაზე ბადრი ზარანდიამ განაცხადა: "სამშობლოს ღალატისთვის გამასამართლეთ, კრიმინალებს ნუ მკიდებთო".

---

# პოლიტიკური სასამართლოს აფხაზური პოლიტიკა ჩიხში მოექცა

## ვინ ჩააბარა აფხაზეთი?

თავდაპირველი სცენარი, პროკურატურაზე ადრე, ფაქტობრივი ხელისუფლების უმაღლესი პირების საჯარო განცხადებებითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით იხატებოდა ჯერ კიდევ აფხაზეთში ომის დაწყებამდე და მისი მსვლელობის ყველა ეტაპზე. ამდენად, პროკურატურის მიერ "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა მიმათ" საქმის ძიება, არსებითად, ამ პუბლიცისტურ-პროპაგანდისტული ნაღვაწის შეგროვებასა და მის მეტნაკლებად იურიდიულ კვალიფიცირებაში გამოიხატებოდა. ამიტომაც, საბრალდებო დასკვნა №7495927 საქმეზე, ისევე, როგორც ამ სერიალის სხვა საქმეები, ზოგადად ატარებს ბელეტრისტიკულ ხასიათს და შეიცავს კიდეც ყველა იმ წინააღმდეგობას, რაც დამახასიათებელი იყო ოფიციალური პროპაგანდისთვის 1992 წლიდან დღემდე. დღეს ეს სცენარი აშკარად ვერ უძლებს გამოცდას სიმართლით. მიუხედავად ამისა, მისი დამაჯერებლობის განსამტკიცებლად, სასამართლო პროცესის დაწყების პარალელურად მოეწყო ე.წ. საპარლამენტო დებატები აფხაზეთის საკითხზე, სადაც გენერალურმა პროკურორმა, მისმა მოადგილემ და თავად შევარდნაძემ, არსებითად, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, უკვე გამოიტანეს განაჩენი.

მაგრამ სასამართლო პროცესზე გამოვლენილი რეალობა აშკარად ეჭვქვეშ აყენებს ამ განაჩენის სისწორეს. ამიტომაც, ოფიციოზიც და ბრალდების მხარეც დღეს უკვე ცდილობს აფხაზეთის საკითხის ნიველირებას. მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილმა ერთხელ უნებლიეთ ისიც კი უთხრა განსასჯელებს, თქვენ არ გედებათ ბრალად აფხაზეთის ჩაბარებაო, რამაც მათი ბუნებრივი გაოცება გამოიწვია: მაშინ რატომ არის საქმის მასალებში აფხაზეთის ომის ეპიზოდები და რატომ გვაქვს წაყენებული ბრალდებად სამშობლოს ღალატი ტერიტორიული მთლიანობის რღვევის მიზნით?!

სასამართლო ვერ სცემს პასუხს ამ და სხვა კითხვებზე, მაგრამ თავისი, მეტწილად არასამართლებრივი და არაადეკვატური, ქმედებებით ააშკარავებს პოლიტიკური პროცესის მთავარი დამკვეთის ისტერიულ მდგომარეობას. რაღა დასამალია, მას აქვს ნერვიულობის მიზეზიშეკვეთა - აფხაზეთის დაკარგვა დაბრალდეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეებს - ვერ სრულდება.

## იციან თუ არა პროკურატურაში გეოგრაფია?!

ალბათ, არც თუ ისე კარგად. მხოლოდ ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება საქმის მასალების მიხედვით, რომელთა თანახმად, სოხუმიდან გამოსული ჯარის ნაწილები და ლტოლვილები იძულებულნი იყვნენ დადგომოდნენ სვანეთის გზას მხოლოდ იმიტომ, რომ ზუგდიდისკენ გზა მათ ქობალიას დაქვემდებარებაში მყოფი ეროვნული გვარდიის ნაწილებმა ჩაუკეტეს. 22 მაისს დაკითხულმა გალის ყოფილმა გამგებელმა, რუდიკ ცატავამ პირდაპირ განაცხადა: "ვინც ამბობს, რომ ჭუბერზე გადასვლა ქობალიას ბრალიაო, იმან გეოგრაფია არ იცის."

იგივეს ადასტურებს 29 მაისს თავის ჩვენებაში გენერალი ჯემალ ჭუმბურიძე: "გზა აფხაზებს ჰქონდათ გადაკეტილი და ამიტომ ლტოლვილები, რომლებიც კოდორსიქითა მხრიდან გამოდიოდნენ, სოხუმიდან სვანეთზე წამოვიდნენ, კინდღიდან კი - ინგირზე წავიდნენ; მოსახლეობის იქით (სვანეთისკენ - რედ.) წასვლა, ჯარის წასვლამ განაპირობა, ხალხი მას გაჰყვა. ქობალიას შიშით არწასვლა, გამორიცხულია."

აღსანიშნავია, რომ ამ ლაფსუსის შესახებ ბრალდების მხარეს ჯერ კიდევ ჟურლაია-ოთხოზორიას პროცესის მსვლელობისას მიეთითა, მაგრამ პროკურატურა მაინც ჯიუტად იცავს საქართველოს გეოგრაფიული რუკის მისეულ ვარიანტს.

## კოდორი - გადაულახავი რუბიკონი

საბრალდებო დასკვნის ერთ-ერთი მთავარი ბრალდებაა, რომ ქობალიას შეეძლო და არ გადავიდა კოდორზე, არ დაეხმარა სოხუმს. თუმცა ადრინდელ სხდომებზე მოწმეთა დაკითხვისას ნათლად გამოჩნდა, რომ ქობალიას საამისოდ არც ტექნიკა გააჩნდა და არც შეიარაღება. 27 მაისს დაკითხული მოწმე რევაზ გაგუა, სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს ტვირთებისა და ობიექტების დაცვის უფროსის მოადგილე, რომელიც მონაწილეობდა ზუგდიდის იზოლატორიდან გენერალ გია გულუას გაქცევის ოპერაციაში, ამტკიცებდა, რომ კოდორის გზით, იქიდან, სადაც ბ-ნი ლოთის ნაწილები იყო განლაგებული, სოხუმში დივიზიების შემოყვანაც შეიძლებოდა და მძიმე ტექნიკისაც.

ამ მტკიცებას აშკარად ეწინააღმდეგება სხვა ჩვენებები. აი, რას ამბობს, მაგალითად, გენერალი ჭუმბურიძე: "24-25- ში ყარყარაშვილი მირეკავს სკურჩიდან რაციით, მანქანა გამომიგზავნეო. მოვიდა 10 კაცით. მითხრა, სოხუმი მძიმე მდგომარეობაშიაო... ხალხი მთხოვა, 300 წაიყვანა და წავიდა. იმ გზით, რა გზითაც ეგ შემოვიდა, ტექნიკა ვერ გაივლიდა. იმ გზაზე ყველას შეეძლო გავლა შარვალს თუ აიწევდა მუხლამდე."

ბალუაშვილი ლიტერატურულად აფორმებს ჩვენებებს.

30 მაისს მოწმედ დაიკითხა ბადრი გალდავა, მე-11-ე ბრიგადის დაზვერვის უფროსი. განსასჯელების მიერ დასმულმა კითხვებმა ბევრ საინტერესო საკითხს მოჰფინა ნათელი.

კითხვებს სვამს ჯამბულ ბოკუჩავა:

**- 27 ივლისის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, განიარაღების წინააღმდეგი იყავით, თქვენ გადამალეთ 12 ტანკი, ზარბაზნები. რატომ?**

- არ გადაგვიმალია, ტანკებს "ზატვორები" მოხსნეს და რუსეთის საზღვაო ბრიგადას ჩააბარეს.

**- ოჩამჩირე ჰაერიდან და ზღვიდან რომ იბომბებოდა, ხედავდით თქვენი პოზიციებიდან?**

- 23-24-ში კინდღი იბომბებოდა, ეს ის პერიოდია, როცა ქობალია კოდორთან დგას... ჩვენი საგუშაგო 14 სართულიან სახლზე იყო. იქიდან ჩანდა: შემოვიდოდა კრეისერი 16 კილომეტრიან ზოლში, გააკეთებდა გასროლას, გადიოდა 22 კმ-იან ზოლში, სადაც ჩვენი არტილერია ვერ მისწვდებოდა... კინდღზე 70 კაცი წავიდა. 28-ში ტყვია-წამლის გამოსატანი მანქანები არ იყო და ქობალია დაგვეხმარა.

მოწმის თქმით, ქობალიას ნაწილები არ ატარებდნენ გზებზე მხოლოდ დეზერტირებს, სთავაზობდნენ ბრძოლას ფრონტზე, უარის შემთხვევაში კი უშვებდნენ უიარაღოდ.

ზვიად ძიძიგურის კითხვაზე, საკმარისი იყო თუ არა ტექნიკა და ცოცხალი ძალა გალის გასამაგრებლად, მოწმემ უპასუხა:

**- ხალხიც, მებრძოლებიც (ჩვენს ბრიგადაში ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა იყო) ცოლ-შვილით მოდიოდა, ზუგდიდამდე გამოაცილეს ოჯახები. 28-29-30-ში მოსახლეობა უწყვეტ ნაკადად მოდიოდა... წამოვედით, 800 კაციდან 150 კაცი დავრჩით, დანარჩენი დაიფანტა. სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს, რუსი ვერ გამოდგა გარანტად.**

ქობალია ინგირის პიკეტზე ხალხს ანაწილებდა, რომ რიგში გამოსულიყვნენ. იქ ბეტონის ფილები იყო ხიდის დასაწყისში, ის ფილები რომ არ ყოფილიყო, ხალხი უფრო ადვილად გაივლიდა, ქობალია არაფერ შუაშია, არ ვიცი, ვინ დააწყო...

როდესაც მოსამართლემ გამოაქვეყნა ბადრი გალდავას მიერ წინასწარ ძიებაში მიცემული ჩვენება, მოწმემ განაცხადა:

- ჩვენება ბალუაშვილს მივეცი, ლიტერატურულადაა ეს ჩვენება დაწერილი, გარკვეული ლაპარაკის მერე იყო შეკითხვები. ვადასტურებ წინასწარ ძიებაში მიცემულ ჩვენებას, მაგრამ აქ არის უზუსტობები, რომელიც მე არ მითქვამს. ახლა რასაც ვამბობ, ისაა სწორი.

***ლია ბერუაშვილი***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენებას იძლევა უზენაესი საბჭოს წევრი ნუგზარ მოლოდინაშვილი

## უცნაური ომი

სხვადასხვა პიროვნებებთან მოთათბირების შემდეგ და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ზვიად გამსახურდია ელაპარაკა ბ-ნ ვახტანგ ქობალიასაც, ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსს. ამ ლაპარაკმა გარკვეული როლი ითამაშა მისი იმ გადაწყვეტილების შენარჩუნებაში, რომ პრეზიდენტს არ ჰქონდა უფლება, არ შეესრულებინა თავისი მოვალეობა ბოლომდე და გაჰქცეოდა პასუხისმგებლობას. ასე რომ, იმ სისხლზე, მასიურ ტერორზე და ყველაფერზე, რაც დატრიალდა საქართველოში, პასუხისმგებლობა ეკისრება იმას, ვინც უპასუხისმგებლო მოთხოვნებით გამოდიოდა და ულტიმატუმის ენით ლაპარაკობდა.

დეკემბერ-იანვრის საომარი დაპირისპირება, ალბათ, თავის პირუთვნელ აღმწერსა და შემფასებელს ელოდება. ეს იყო მეტად უცნაური კონფლიქტი. პირველივე სამ საათში უზენაესი საბჭო, ფაქტობრივად, დარჩა გარე სამყაროსთან ყოველგვარი კავშირის გარეშე - გაითიშა ყველა ტელეფონი. ესეც იმაზე მეტყველებს, რომ შეთქმულება სკრუპულოზურად იყო მომზადებული. ფუნქციონირებდა ერთადერთი ხაზი და, რაც მეტად უცნაურია, ეს ხაზი გვაკავშირებდა საქართველოს გენერალურ პროკურორთან, ბ-ნ ვაჟა აბაკელიასთან, რომელიც სადღელამისო მორიგეობას ეწეოდა თავის კაბინეტში. იგი, ფაქტობრივად, ინფორმაციის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა ჩვენთვის.

სიტუაცია ვითარდებოდა რაღაც საოცარი სცენარით: მთელი დღის განმავლობაში ინიციატივას ფლობდა კანონიერი ხელისუფლების მხარე, ხოლო დაახლოებით 6-7 საათისთვის გადადიოდა მოწინააღმდეგის ხელში. ამას მოსდევდა მთელი ღამე - უძილო და დაძაბული - როცა შეიძლებოდა დაგვეკარგა ყველა პოზიცია და დილამდეც ვერ გაგვეძლო. დაახლოებით დილის 7-8 საათისთვის მოწინააღმდეგე კარგავდა ინიციატივას - იგი კვლავ ჩვენს ხელში გადმოდიოდა. და ასე გაუთავებლად. ამგვარ ვითარებაში ძნელია სიტუაციის თეორიული გაანალიზება, მაგრამ ის კი ყველაფერზე ჩანდა, რომ ვიღაცა სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული კონფლიქტის დროში მაქსიმალურად გაჭიმვით - დიდძალი მსხვერპლითა და ნგრევით, რასაც შემდგომი უბედურება და უმძიმესი შედეგები უნდა მოჰყოლოდა მთელი საქართველოსთვის.

## მაფია ეხმარება კიტოვანს

როდესაც ისმება კითხვა, რა ძალები მონაწილეობდა და ვინ იბრძოდა ხელისუფლების წინააღმდეგ, რასაკვირველია, გარდა იმ ძალებისა, რომლებიც სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი ხელისუფლების შეცვლით (საქართველოს გარეთ მყოფ ძალებზე მაქვს ლაპარაკი), იყო შიდა ძალებიც, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ამით. მე არ მოვიყვან ჩემი მეგობრების მიერ აქ ნათქვამ არგუმენტებს, მე დავეყრდნობი იმ პიროვნებების არგუმენტებს, რომლებიც მაშინ გვებრძოდნენ და ერთ-ერთს კი არა, მთავარ ფიგურებს წარმოადგენდნენ. მაგალითად, თენგიზ სიგუა, - ეს არ არის ოპოზიციონერი თენგიზ სიგუა, ეს არის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა და ეს განცხადება აქვს გაკეთებული 1992 წლის 5 მარტს. აი, რას ამბობს იგი, როდესაც ეკითხებიან სამხედრო ტექნიკაზე და უცხო ძალების დახმარებაზე:

„რაც შეეხება შეიარაღებას, სამხედრო საქმეებში არ ვერეოდი, თუმცა ვხედავდი, ტექნიკა მატულობს. ჯერ 6 „ბტრ“-ი და „ბმპ“, შემდეგ კიდევ სამი. ვიკითხე, საიდან-მეთქი. კიტოვანი გულჩათხრობილი ადამიანია (ვინც კარგად იცნობს კიტოვანს, იცის, რა გულჩათხრობილიცაა - ნ.მ.), იგი ჩუმდებოდა, ან ამბობდა, შენთვის რა მნიშვნელობა აქვსო.

კითხვა: - ნუთუ მაფიას, რომელთანაც მათ ძველი კავშირები აქვთ (აქ ლაპარაკია თენგიზ კიტოვანსა და ჯაბა იოსელიანზე), გაუჭირდება თავის ჭკუაზე მართოს ისინი?

სიგუა: - ამ წრეებთან, პირადად მე, კავშირი არა მაქვს, მაგრამ მხარდაჭერა, ალბათ, იყო. დავუშვათ, მაფიის წარმომადგენლები ეხმარებოდნენ კიტოვანს იმიტომ, რომ გამსახურდია ემუქრებოდა დაეხურა კოოპერატივები, ერთობლივი საწარმოები, გაეჩერებინა კომერცია. მე ვერ ვიტყვი, რომ ჩრდილოვანი სამყარო ინახავდა გვარდიას, მაგრამ ვფიქრობ, ამგვარი დახმარება იყო. ეს ამ სტრუქტურებისათვის არსებობისთვის ბრძოლას ნიშნავდა.“

ე.ი. მისი სიტყვებით გამოდის, რომ მაფია, ჩრდილოვანი სამყარო, გამსახურდიასთან დაპირისპირებით, იბრძოდა საკუთარი არსებობისთვის. აი, ასეთ ძალებთან გვიხდებოდა ბრძოლა.

ამ დროისთვის ტელეანძის დაცვა იკისრა ბესო ქუთათელაძემ - იქ საჩხერის ბატალიონი იყო განლაგებული. ტელეანძის გარეშე, ოპოზიცია ეთერში გასვლას ვერ ახერხებდა მიუხედავად იმისა, რომ რეტრანსლატორი მათ კარგა ხნით ადრე, ოქტომბრის კრიზისის დროს ჰქონდათ ნაშოვნი. ამ რეტრანსლატორის შოვნის ისტორიაც სრულიად შემთხვევით გახდა საცნაური სულ ახლახან, 1994 წლის საპარლამენტო სხდომაზე, როდესაც ირჩეოდა დეპუტატ თენგიზ კიტოვანის არაეთიკური საქციელი კავშირგაბმულობის მინისტრის, ფრიდონ ინჯიას მიმართ. მათ სადავო სწორედ ეს რეტრანსლატორი ჰქონდათ. მაშინ სახელმწიფოს მეთაურმა რესპუბლიკის ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან სრულიად არაორაზროვნად შეახსენა თენგიზ კიტოვანს, თუ ვინ იშოვა ეს რეტრანსლატორი, როცა ეს მათ სჭირდებოდათ. მაგრამ ის დაბალი სიხშირისა აღმოჩნდა და ტელეანძა მაინც აუცილებელი იყო მათთვის.

## მილიცია ზეთისხილის რტოთი

ამ დროისთვის რამდენიმე ინიციატივა იყო შემოთავაზებული. ერთ-ერთის ავტორი გახლდათ მაშინდელი თავდაცვის მინისტრის მოადგილე - ნოდარ გიორგაძე. ამ ინიციატივის აზრი დაახლოებით ასეთი იყო: იზღუდებოდა პრეზიდენტის უფლებები - ის დროებით იღებდა ხელს თავისი კონსტიტუციური უფლებების განხორციელებაზე. სანაცვლოდ უნდა შექმნილიყო კოლექტიური მმართველობის ორგანო, რომელშიც თანაბარწილად უნდა შესულიყვნენ ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. ამ ორგანოს შემადგენლობა დაახლოებით 17 კაცით იყო განსაზღვრული. ანუ ეს იქნებოდა სახელმწიფო საბჭო, რომელიც შეითავსებდა პრეზიდენტის უფლებებს, შეძლებისდაგვარად მოამზადებდა ახალ არჩევნებს და, თუ საჭირო გახდებოდა, რეფერენდუმს პრეზიდენტის ინსტიტუტისა და თვითონ პრეზიდენტის შესახებ. ასეთი იყო მისი წინადადება.

ესაა უკვე იანვრის დასაწყისი, დაახლოებით პირველი იანვარია. იყო საკმაოდ კრიტიკული სიტუაცია. ზვიად გამსახურდიამ გამიხმო და მკითხა აზრი ამ წინადადების შესახებ. მანამდე, რასაკვირველია, სიტუაცია დეტალურად განიხილა. მეც ვთქვი, რაც ვიცოდი. მან კიდევ უფრო მეტი იცოდა. უკიდურესად კრიტიკული სიტუაცია გახლდათ და მაინც ძნელი იყო რაიმე გარკვეულის თქმა. ვურჩიე, დროის მოგების მიზნით, წავსულიყავით მოლაპარაკებებზე, ყოველ შემთხვევაში, ეს იყო შემოთავაზებული წინადადება და, შესაძლოა, ლაპარაკში მას უფრო მისაღები ფორმა მიეღო. შევთანხმდით, რომ მე წავსულიყავი შეხვედრაზე. ერთ-ერთი შუამავალი ამ საქმეში იყო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, დავით სალარიძე. საერთოდ, უნდა ვთქვა, რომ ისეთი პიროვნებები მონაწილეობდნენ მოლაპარაკებებში, ვინც კონსტიტუციით, კანონით მოწოდებულნი არიან წესრიგის დასაცავად, მაგრამ მათ, რატომღაც, ირჩიეს შუამავლის, მომრიგებელ-მოსამართლის მაღალი ფუნქციები, ზეთისხილის რტოთი კბილებში...

2 იანვარს პრეზიდენტმა გააცნო უზენაესი საბჭოს დეპუტაციას ეს წინადადება, ჩვენი ერთობლივი აზრი და აგრეთვე ის, რომ უნდა მე წავსულიყავი შეხვედრაზე და სთხოვა მათ, ემსჯელათ სერიოზულად. დეპუტატთა კორპუსის დამოკიდებულება ამ წინადადების მიმართ არაერთგვაროვანი იყო. ბევრში გარკვეულწილად გაღიზიანებაც გამოიწვია და აღქმულ იქნა პოზიციების დათმობად, მაგრამ ვინც სიღრმისეულად იცოდა, რა ხდებოდა, მათთვის არ იყო ზედმეტად ასახსნელი ამ ნაბიჯის აუცილებლობა.

იმავე საღამოს, უწყვეტი ცეცხლის ქვეშ გამოვედი უზენაესი საბჭოდან, ავედი ჭონქაძის ქუჩაზე, სადაც უკვე მელოდებოდა დავით სალარიძე. მე, ბატონი ნოდარ წულეისკირი და, მგონი, კიდევ მესამეც გვახლდა, არ მახსოვს ვინ. მივედით რესპუბლიკის პროკურატურაში. ვაჟა აბაკელიას კაბინეტში, თავად აბაკელიას გარდა, დაგვხვდნენ მურმან ომანიძე და ნოდარ გიორგაძე. ძირითადად, საუბარი წარიმართა ულტიმატუმის ფორმით. აქ, ფაქტობრივად, ჩვენ ვხვდებოდით შუამავლებს და არა საპირისპირო მხარეს. დავით სალარიძისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მისამართით დასმულ კითხვაზე, თუ რატომ არ ასრულებდნენ თავის მოვალეობებს, მათი პასუხი ასეთი იყო: ჩვენ ქართველთა შორის კონფლიქტში ვერ ჩავერევით, ქართველთა სისხლს ვერ დავღვრით და ა.შ. სისხლი კი უკვე კარგა ხანია იღვრებოდა და ამას, სხვათა შორის, ძალიან მშვიდად უყურებდა შსს. მათ ხომ ყველაზე კარგად მოეხსენებოდათ, რომ ქართველთა შორის სისხლის ღვრის შეწყვეტისთვის აუცილებელი იყო ბანდიტური ფორმირებების განიარაღება.

ბოლოს გვითხრეს, რომ, თურმე, მნიშვნელობა არ ჰქონდა, მიიღებდა თუ არა ამ პირობებს ზვიად გამსახურდია, 2 იანვრიდან ფუნქციონირებას იწყებდა სამხედრო საბჭო. ამდენად, სალაპარაკოც აღარაფერი იყო. ფაქტობრივად, ჩვენ გაგვაცნეს კაპიტულაციის პირობები და მათზე უნდა გველაპარაკა. მე იქ ამისთვის არ ვიყავი წარგზავნილი და დავბრუნდი ისევ უზენაესი საბჭოს შენობაში.

## უზენაესი საბჭო საპატიმრო არ არის...

მანამდე მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი ბ-ნ ზვიად გამსახურდიას „სისხლისმსმელობაზე“.

1991 წლის 27 დეკემბერს პრეზიდენტთან მოვიდა უშიშროების სამინისტროს მაღალი ჩინის ოფიცერი და მოახსენა, რომ აღარ არსებობდა არავითარი შესაძლებლობა სუკ-ის იზოლატორის დაცვისა, სადაც იმ დროს ჯაბა იოსელიანი, გიორგი ხაინდრავა, თემურ ჟორჟოლიანი და ტორეზ კულუმბეგოვი იმყოფებოდნენ. მე ვესწრებოდი (არ ვიცი, რა დავარქვა ამ საუბარს ზუსტად - დილის თათბირი ჰქვია, თუ ინფორმაციის მიღება...) და შემიძლია გაგიმეოროთ.

ოფიცერმა ჰკითხა პრეზიდენტს, რა ვქნათო?

- რა უნდა ვქნათ - რა ვიცი, რა უნდა ვქნათ - მიუგო პრეზიდენტმა.

- შეიძლება აქ გადმოვიყვანოთო, ჯერ კიდევ არის ამის საშუალება, რომ გადმოვიყვანოთ აქ.

- აქ ხომ საპატიმრო არ არის, აქ რატომ უნდა გადმოიყვანოთ.

ოფიცერი აგრძელებდა ლაპარაკს და თან გზადაგზა ახსენებდა - ჯაბაზეცაა ლაპარაკიო.

- გასაგებია, რა ვქნათ, ბატონო, გასაგებია. თუ არა გაქვთ შესაძლებლობა, გაუშვით სახლში და დამთავრდება...

შემდგომში ყველაფერი დოკუმენტურად დაფიქსირებული და აღნუსხული აღმოჩნდა. მშვენივრად არის დაფიქსირებული ისიც, თუ როგორ ეუბნება გიორგი ჭანტურია თენგიზ კიტოვანს და ჯაბა იოსელიანს: სამხედრო საქმე თქვენთვის ჩამიბარებია, ხოლო დანარჩენი - პოლიტიკური მობილიზაცია - ჩემი მოვალეობაა და ერთგულად ამოგიდგებით მხარშიო. რატომღაც, ეძპ-ს შემდგომში ეს ყველაფერი დაავიწყდა და აღნიშნავდა, რომ გადატრიალებაში მას აქტიური მონაწილეობა არ მიუღია.

გარდა ზემოთ აღნიშნული ერთადერთი სატელეფონო კავშირისა რესპუბლიკის პროკურატურასთან, არსებობდა ე.წ. „ვჩ“ - სპეციალური კავშირი პრეზიდენტის პერსონალურ მანქანაში, რომელიც უზენაესი საბჭოს ავტოფარეხში იდგა და რომლითაც გვიკავშირდებოდა უშიშროების სამინისტროს უფროსი თამაზ ნინუა. ესეც მოქმედებდა 27 დეკემბრამდე. სუკ-ის იზოლატორის დაცემისა და მომდევნო მოვლენების შემდეგ, ეს კავშირიც დაირღვა.

(გაგრძელება იქნება)

# იოსელიანი ზვიად გამსახურდიას არ გაუშვია

## გაზეთ „ახალი თაობის“ რედაქციას

თქვენი გაზეთის 26 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა უზენაეს სასამართლოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესის ამსახველი პუბლიკაცია სათაურით - „ჯაბა იოსელიანი ზვიად გამსახურდიამ გაუშვა სახლში“. მასში, რიგი დასანანი უზუსტობებით, გადმოცემულია ჩემს მიერ 23 აპრილს მიცემული ჩვენების ერთ-ერთი ეპიზოდი.

უპირველესად, გაოცებას იწვევს პუბლიკაციის სათაური - „ჯაბა იოსელიანი ზვიად გამსახურდიამ გაუშვა სახლში“. რატომ ასე რბილად?! პირდაპირ გეთქვათ, რომ ავტომატიც მან დააჭერინა ხელში.

თქვენს პუბლიკაციაში რატომღაც მითითებულია 3 იანვარი, ნაცვლად 27 დეკემბრისა, რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ამასთან, საკითხი ეხებოდა არა მხოლოდ ჯაბა იოსელიანს, არამედ უშიშროების სამსახურის იზოლატორში პატიმრობაში მყოფ სხვა პირებსაც.ჩემს მიერ აღწერილი ეპიზოდიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ჩინებულად უწყოდა, თუ ვის კომპეტენციაში იყო პატიმრების საპატიმროდან გაშვება-არგაშვების საკითხი და ისიც, რომ უზენაესი საბჭოს შენობა არ წარმოადგენდა საპატიმროს. შესაძლოა, უშიშროების სამსახურის მაღალი ჩინის ოფიცრებმა არაფერი იცოდნენ თავიანთი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობისა და უფლება-მოვალეობების შესახებ, ან სურდათ პრეზიდენტი გამოეყვანათ ბანდიტად, რომელიც პირადი ბრძანებით იჭერდა და ათავისუფლებდა ნებისმიერს, ვინც მოესურვებოდა.

პატიმრების გადმოყვანისას ერთ-ერთი, ვთქვათ, ოსი სეპარატისტების ლიდერი ტორეზ კულუმბეკოვი, ვითომ შემთხვევით რომ დაღუპულიყო, ძნელი მისახვედრი არ არის, რა შედეგები მოჰყვებოდა ამას.

პრეზიდენტის მიმართ ჩაფიქრებული ამ პროვოკაციის მიღმა იდგა სავსებით კონკრეტული ვითარება, რომლის ზოგიერთი მომენტი ჩემამდეც იყო დაფიქსირებული, კერძოდ: ჯაბა იოსელიანის უზენაეს საბჭოში გადმოყვანას არავინ აპირებდა - უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ მისი განთავისუფლება, რაზეც 27 დეკემბრამდე თენგიზ კიტოვანი ყოყმანობდა. მას არ სურდა ძალაუფლების გაყოფა პოტენციურ კონკურენტთან, მაგრამ მოსკოვი უარს აცხადებდა პუტჩისტებისთვის სამხედრო დახმარება გაეწია მანამ, სანამ შეიარაღებულ გადატრიალებას, კიტოვანთან ერთად, სათავეში არ ჩაუდგებოდა ჯაბა იოსელიანი, რომელიც იყო უშუალოდ შევარდნაძის ინტერესების გამომხატველი ბანდიტთა საბჭოში.

დასანანია, რომ თქვენი გაზეთი, სენსაციურობას ადევნებული, კმაყოფილდება ისედაც ცნობილი ფაქტების გარეგანი მომენტებით. გარწმუნებთ, ჩემი ჩვენებიდან შესაძლებელი იყო უფრო საინტერესო და სენსაციური ცნობების ამოკრება, ცხადია, თუ საქმე არა გვაქვს აქცენტების შეგნებულ გადაადგილებასთან.

ნუგზარ მოლოდინაშვილი

# მე ზვიადისტებს ვესროდი...

აცხადებს ჟურნალისტ ვლადიმერ სოსნიცკისთვის მიცემულ ინტერვიუში პეტერბურგელი სპორტსმენი და სნაიპერი - 26 წლის სვეტლანა, რომელიც დსთ-ს ტერიტორიაზე მიმდინარე თითქმის ყველა ომში მონაწილეობდა. ახლა იგი ტაჯიკეთშია.

## რუსი სნაიპერის აღიარება

სპორტულ კლუბში „სპარტაკი“ ერთმა გოგონამ ტელეფონის ნომერი მომცა და მირჩია, დამერეკა. ერთი კვირის შემდეგ მე უკვე ყარაბახში ვიყავი. სამ დღეში ავითვისე სნაპერის თოფი „ესვედე“ - კარგი რამაა. სომხები კარგად და პატიოსნად მიხდიდნენ ფულს, ოღონდ დოლარებით კი არა, რუსული რუბლებით. ხელშეკრულებაში თავიდანვე გათვალისწინებული იყო ყოველი მოკლული „აზერის“ ფასი. ამასთან, ორ პირს უნდა დაედასტურებინა ეს ფაქტი. გათვალისწინებული იყო ყველაფერი - კვებით, საცხოვრებლით, უშიშროებით უზრუნველყოფის პირობა.

ერთი თვის მუშაობის ანაზღაურებით, ნახევარი წელი ისე ვიცხოვრე, უფულობა არ მიგრძვნია. შემდეგ ისევ დავრეკე იმავე ტელეფონზე. შემომთავაზეს საქართველოში გამგზავრება. ვესროდი ზვიადისტებს. მართალია, არც ისე დიდხანს. ქართველი დამკვეთები ჭუწობდნენ და ჩემს სულ სხვა დანიშნულებისთვის გამოყენებას ცდილობდნენ. შემდეგ იყო სოხუმი. აფხაზეთში პროფესიონალი გავხდი. იქ „თეთრკოლგოტკიანებიც“ საკმაოდ ვნახე და „ნაცრისფერიანებიც“ - ე.წ. ფრონტის პუტანები - დალევენ ან დაბოლდებიან და მიდიან თავიანთ კაცებთან ერთად შეტევაზე. რამდენჯერ მინახავს, რომ ასეთი „ჯარისკაცთა ილბლიანი ცოლები“ სულელურად ილუპებოდნენ გაშმაგებული მტრის, ან თავიანთი ეჭვიანი კაცების ხელიდან.

ერთხელ ჩრდილოკავკასიელმა კონფედერატებმა ახალგაზრდა ქართველი ქალი მოიყვანეს. ყვიროდნენ - ავტომატით ავიყვანეთ, „შავკოლგოტკიანია“, სნაიპერიაო. მაგრამ მაშინ იქ ყველა ქალი ასე დადიოდა. „მისი ავტომატი სადღაა“, ვკითხე კონფედერატების ერთ-ერთ უფროსს, ალიმს. - თითქოს აზრიანი კაცი ჩანდა. „აბა ეგ ვინ იცისო“ - მიპასუხა. გოგონა მთელმა ჯგუფმა, ოცდაათამდე კაცმა გააუპატიურა. გავლანძღე, მინდოდა სიფათში მიმეცხო, ეგ ნაძირალები კი დამცინოდნენ. გოგონამ გაუძლო, არ მოკვდა, მაგრამ მეორე დღეს რაც უქნეს, თქმაც კი მზარავს - ხელებით დაგლიჯეს ნაფლეთებად.

სნაიპერ სვეტასთან ერთად, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას, „ნადირობდნენ“ ლენა ვიტებსკიდან, სელგა დაუგავპლისიდან, აურიკა კიშინიოვიდან, ბაიჟარატი სემიპალატინსკიდან, ტანია ურალიდან. ჩვეულებრივ, მათ „თეთრკოლგოტკიანებს“ უწოდებენ, აფხაზეთში კი „შავკოლგოტკიანებად“ იყვნენ ცნობილნი.

გაზეთი "ტრუდ-7",

№82, 1996

კონსტანტინე გამსახურდია

# ზვიად გამსახურდია

*დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე*

(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)




(მეექვსე თავის დასასრული)

## სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ

საქართველოში იმდენად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნა, რომ თვით კვალიფიცირებული სპეციალისტებისთვისაც კი შეუძლებელი გახდა სამუშაოს შოვნა. ადამიანს ერთი გამოსავალიღა რჩებოდა - მათხოვრობით ერჩინა თავი. ბევრმა მიწის დამუშავება დაიწყო. თავისუფალი მიწის ყოველი გოჯი ხალხმა მოსავლის მოსაყვანად გამოიყენა და დაუღალავი შრომით გადაირჩინა თავი.

ბევრ საკმაოდ ნიჭიერ ადამიანს ცხოვრების მეტად დუხჭირი პირობები შეექმნა. ამის თვალნათელი მაგალითია უმაღლესი სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი, რომელიც მეტისმეტად ხელმოკლედ ცხოვრობს. მართალია, ქალაქიდან მოშორებით მას აქვს საკუთარი მიწის ნაკვეთი, მაგრამ იმის გამო, რომ მანქანა ყაჩაღებმა წაართვეს, ვერ ამუშავებს. ამჟამად ეს ნიჭიერი კაცი ორ ინსტიტუტში ასწავლის საწყალობელი ანაზღაურების ფასად. ითვლება, რომ მას პრესტიჟული სამსახური აქვს, თუმც მისი შემოსავალი, დღეს არსებული ინფლაციის ფონზე, ცხოვრებისთვის არ არის საკმარისი.

უცხო თვალისთვის საგანგებოდ შეთხზულ გაზვიადებად ჩანს საქართველოს ეროვნული ბანკის მმართველის - დვალიშვილის ფინანსური საქმიანობა. დვალიშვილმა, რომელსაც შევარდნაძე უწევდა მფარველობას, სესხის უკან დაბრუნების გარანტიის გარეშე ბიზნესმენებზე კრედიტის სახით გასცა ასი მილიონი დოლარი. ამ ბიზნესმენთა ნაწილი რუსეთში გაიქცა, ნაწილი - დასავლეთში. 1994 წლის სექტემბრის დასაწყისში დვალიშვილს ანგარიში მოსთხოვეს. ის იძულებული გახდა, პასუხი ეგო გაცემული კრედიტების გამო. წინასწარი გამოძიების დროს მან დაასახელა ადამიანები, რომელთა უშუალო მითითებითაც აწარმოებდა თანხების გაცემას. ცოტა ხანში გავრცელდა ინფორმაცია, რომ დვალიშვილმა სასამართლოს შენობაში დაასრულა სიცოცხლე. ოფიციალურად ამას თვითმკვლელობა ეწოდა და... ინციდენტი ამოიწურა - არც საქმე აღძრულა, არც დაკითხვის აქტები გამოქვეყნებულა. რა თქმა უნდა, ეს საიდუმლოებით მოცული გაუხსნელი საქმე ერთადერთ დამნაშავეზე - სახელმწიფოს მეთურზე მიუთითებს.

საქართველოში შექმნილ ეკონომიკურ განუკითხაობაში მხოლოდ "კოკა-კოლამ" მოახერხა პოზიციების შენარჩუნება - ალბათ იმის წყალობით, რომ უცხოური ფირმაა.

საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებებს აწარმოებდა ირანთან ქვეყანაში ნავთობისა და გაზის შემოტანის თაობაზე. საფასური საბჭოთა მოდელის სუ-25 და იაკ-48 სამხედრო თვითმფრინავებით უნდა გადაეხადა. თვითმფრინავები თბილისში მზადდებოდა - ყოფილ საბჭოთა ქარხანაში. ამის შესახებ 1993 წლის აპრილში იტყობინებოდა "Soviet Analyst"-ი. რუსებიც დაინტერესებულნი იყვნენ ამ საწარმოს ამოქმედებით და თავის თავზე იღებდნენ საჭირო ნედლეულით უზრუნველყოფას. მაგრამ ამერიკის უშუალო ჩარევით, ეს მოლაპარაკებები ჩაიშალა.

ასეთივე უიღბლო აღმოჩნდა მეორე დიდი პროექტიც - დასავლეთ-აღმოსავლეთის დამაკავშირებელი პირდაპირი მაგისტრალის მშენებლობა, რომელსაც საქართველოს შავი ზღვის საპორტო ქალაქების, ფოთისა და ბათუმის გავლით, ერთმანეთთან უნდა დაეკავშირებინა თურქეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი და ჩინეთი. "ევრო-აზიური კორიდორი" - როგორც მას ოფიციალურად უწოდებდნენ - მართლაც უმოკლესი და, ამასთან, ყველაზე მოსახერხებელი გზა იყო ამ პროექტის განხორციელებას, შესაძლოა, ფასდაუდებელი სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონოდა საქართველოსთვის. მისი ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, პროექტი მეტად მომგებიანი ჩანდა ყველა მხარისთვის და, რაც მთავარია, მისი მეშვეობით ეფექტურად განხორციელდებოდა გაზისა და ნავთის გადაზიდვა. სამწუხაროდ, რუსეთმა ვეტო დაადო პროექტს. ისინი თვლიან, რომ მიუხედავად საკმაოდ დიდი შემოვლითი გზისა, მაგისტრალმა რუსეთის ტერიტორიაზე უნდა გაიაროს.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიხმეთ ქვეყანაში შექმნილი გაუსაძლისი მდგომარეობის დასახასიათებლად. მრავალი ადამიანი იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა საქართველო. ოფიციალური მონაცემებით, მათი რიცხვი მილიონს აღწევს. ეს მოსახლეობის მეხუთედია.

არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგეებს, სტალინის პერიოდიდან დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მასობრივად აპატიმრებენ. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო საზოგადოების და ჰელსინკის ჯგუფების წარმომადგენელთა აზრით, მათი უმრავლესობა უკანონოდ არის დაპატიმრებული. რეჟიმის მოწინააღმდეგეებს საკმაოდ გაცვეთილი ბრალდება - სამშობლოს ღალატი, ან ტერორიზმი მიუყენეს. ციხეებში პატიმრებს სასტიკად ექცევიან. საქართველოში არ მოიძებნება ისეთი ციხე, სადაც სადამსჯელო ზომები ოდნავ მაინც შეესატყვისებოდეს საერთაშორისო ნორმებს. დევნას განიცდიან არა მხოლოდ რეჟიმის ოპონენტები, არამედ მათი ოჯახის წევრები და ადვოკატები. დღევანდელი ჯალათები მცირეოდენ თუ განსხვავდებიან ადრინდელი მჩვალებლებისგან, რომელნიც მარქსისტული იდეალების ძალადობით დამკვიდრებას ემსახურებოდნენ.

დღეს უამრავი თანამდებობის პირისთვის, თვითგადარჩენის ინსტინქტის გარდა, სხვა პოლიტიკური დოქტრინა აღარ არსებობს. ისინი ისეთ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი, საიდანაც უკან დასახევი გზა მოჭრილია.

რეალური ძალაუფლება საოკუპაციო ჯარების ხელშია. [illegible] რა სტატუსით არიან ისინი საქართველოში). თვით სამშვიდობო ძალებიც კი, საქართველოში რუსეთის ძალაუფლების განმტკიცებას ემსახურებიან. რუსეთის მმართველი ელიტა ვერ მოისვენებს მანამ, სანამ ძნელად სამართავ ქართველებს საბოლოოდ არ "მოარჯულებს". რუსეთი დღემდე ვერ განთავისუფლებულა პეტრე დიდის იმპერიალისტური იდეალების ტყვეობისგან, რომლის ერთგულებას, სხვათა შორის, რუსეთის ყველა მთავრობა თანმიმდევრულად ინარჩუნებდა საუკუნეების მანძილზე.

საქართველოში სიტყვისა და პრესის თავისუფლება ფორმალურად გარანტირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველას აქვს უფლება, თქვას და წეროს საკუთარი შეხედულებისამებრ, მაგრამ დაუწერელ კანონებს არ უნდა შეეწინააღმდეგოს. ურჩობის შემთხვევაში - რედაქციას ან დაარბევენ, ან ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისთვის "დროებით" დახურავენ.

შევარდნაძეს საკმაოდ კარგად ესმის ეკლესიის მნიშვნელობა. ამიტომ მან საქართველოს პატრიარქს - ილია მეორეს თავი მოანათვლინა და ღიად აღიარა მართლმადიდებლობა. თუმცა, ამას სრულიადაც არ შეუშლია მისთვის ხელი, რომ 1995 წლის მაისში, "დიდი სამამულო ომის" დამთავრების 50 წლისთავთან დაკავშირებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შემორჩენილ სტალინის ერთადერთ ძეგლთან, გორში, გვირგვინი მიეტანა.

ეკლესიაზე, მის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე საქართველოს ისტორიაში, შემდეგ თავში ვისაუბრებთ.

*გერმანულიდან თარგმნა*
*თამარ იაშვილმა*

(გაგრძელება იქნება)

# TAVISUPALI SAKARTVELO

## (FREE GEORGIA)

## №20 (in brief)

## 4 - 10 June 1996

### Why did Eduard Shevardnadze Won Elections?

On November 5, 1996, international organization "Fair Elections" held a press-conference related to the issues of parliamentary and presidential elections.

According to the executive officer of the Society Mr. Nugzar Ivanidze "The Elections law was violated by anyone who felt like it: from the authorities to mass media - all were falsifying their results". On the day before elections the State television broadcast information according to which Mr. Jumber Patiashvili was reported as a person who was in alliance with the executors of terrorist action of August 29. The first channel of TV announced the arrest warranty given for Jaba Ioseliani. Information agency "Ajar" labeled the representatives of the Republican Party Mr. Berdzenishvili and Mr. Mgeladze as the agents of the All-Union KGB. The State Television in its information programs regularly reported about the visits of the Head of the State Mr. Shevardnadze to various regions, which is a rough violation of the Law since the candidates for the presidency found themselves under unequal conditions. All this explains the impressive win of Mr. Shevardnadze (70% of votes).

As for the violations on the part of the authorities - nearly all election commissions were located in the building of the regional administration. The members of the elections commissions were actively agitating for the Citizens' Union. "The heads of regional administration threatened the Chairmen of the election commission with firing, while the police bosses were sparing no efforts to please the Citizen's Union of Georgia". The police officials were chasing the observers of "Fair Elections" out of the poling stations often by beating them.

In Oni Region the subdivision of the Ministry of Internal Affairs did not allow the observes of the OSCE Mission to the polling stations until one a.m.

Neither population nor the members of the elections commissions dared to sign the protocols on violations compiled by the international observers: "You will return to Tbilisi, while we had to continue to live here!".

**Khatuna Bitasadze**
**"Alia" #60, May 21-22, 1996**

### The Estimation of the Elections was Superficial

*Admits the Representative of OSCE Mission in Georgia*

On May 18 the International Society "Fair Elections" presented to the audience gathered in the building of Akaki Khorava Actors' House the "Report on Observation Program"

In the course of discussion special attention deserved Mrs. Daria Fane who heads the Human Rights Department of OSCE Mission in Georgia. Mr. Ramaz Rekhviashvili asked her as a representative of the Coordinator Organization for International Observers: "Can you comment the estimation of the Parliament Assembly Observers of OSCE which has been spread on the next morning after elections even though the part of observers of this very Mission have not ben returned yet from the regions. The estimation claimed that the elections were held without any serious violations. This hasty estimation made the population feel that these conclusions were written following the preliminarily prepared clich which would perfectly do for any republic of the former Soviet Union."

"_ I agree with you. I believe that both Parliamentary Declaration and press-release were written too quickly and certainly were very superficial." - stated Mrs. Fane "They contained individual, subjective views rather than scientific, well grounded specific information. I would like once more stress that it was for this reason that the mechanism which confirmed that the elections were just was not objective. If the PM arrives from Italy or France on the day preceding the elections, does not speak any local language, and sees in the polling station that the voter takes a voting-paper then enters the polling chamber and slips the voting-paper into the box, how can he decide whether this procedure is just or not?!"

"-Then what was the aim of their arrival especially as such supporting estimations are used by the authorities for propagandistic goals?", - noted Mr. Rekhviashvili.

After such comment Mr. Irakli Gotsiridze (Block "XXI Century") suggested :"Instead of individual statements mav be it is better that OSCE would make a respective official statement saying that the above document was superficial and the elections were not just."

Mr. Nodar Natadze remarked that continuous compromise in juridical position which is a general practice of Shevardnadze and his team is even worse than the raid of the foreign tanks in our country. "I apologize before our guest but I cannot help thinking that support of Shevardnadze irrespective of the existing violations might be the price for that illegal, unjust compromises with complete ignoring of international norms which had been made by the head of this team.

Mrs. Lia Beruashvili (individual member of IGFM) handed to the representatives of "Fair Elections" and OSCE the detailed report of IGFM and the "Tavisupali Sakartvelo" newspaper confirming that the elections were unjust. In her speech she stressed: "Until Russian tanks are roaring in Georgia, the puppet authorities will continue to exist in this country and anti-imperial movement will never gain strength. The speculations on democratic elections will remain an attempt to attach the juridical respectability to the existing totalitarian regime, which will inevitably lead to failure. I appeal to non-governmental organizations of Georgia refrain from supporting the puppet regime in its attempts to build a facade of democracy.

### "The Prosecutor's Office and Court Respond to Russians

*It looks like that very soon the Judge Aladashvili will remain alone with the defendants in the Court Hall....*

This time the judge Alexandre Aladashvili excluded from the Court Hearing process the public defender of Mr. Nugzar Molodinashvili Mrs. Lia Beruashvili and even more he forbade her to appear in the Court hall (?!). The decision was made on May 31..

Neither the prosecution nor the Court do not feel it suitable for them to have the person who records their lack of professionalism and violations of the Law, especially as when she represents the press and international organization. (Mrs. Lia Beruashvili is a representative of the International Human Rights Organization /IGFM/). This is the only explanation for the recent hysterical actions of Mr. Aladashvili when he removed from the Court Hearing Human Rights Organization representative Mr. Roland Gurgenidze, journalist Anna Chavchavadze, when he permanently threats other correspondents and public defenders with removing them from the Court hall, by which he effectively exerts pressure on the lawyers as well.

On the other hand, Mrs. Lia Beruashvili seemed to create significant problems to the Court irrespective of removing the person she defended Mr.. Nugzar Molodinashvili from the Court Hall. Her recent motions and statements contained not only violations observed in the course of Court hearing, but also the convincing picture of the mechanism to exert pressure on the witnesses and lawyers which is so effectively used by the Court, under the order of the Prosecutor's Office.

One more reason is that it becomes more and more evident that the Prosecution and Court are vitally interested in hush-hushing the facts of active participation of Russian military troops in the war actions in Abkhazia and west Georgia. It was due to this that the judge Aladashvili did not allow Mrs. Lia Beruashvili to interrogate the witness Mr. Revaz Zhvania, who in his interview ("Tavisupali Sakartvelo" №..?, 1996) told her that capture of Sukhumi was being planned in the General headquarters of Russian Army and was performed under the direct commandment of generals Kolesnikov and Sigutkin.

Thus, it becomes obvious, that in Georgia does not exist independent Court Authority and even that which did exist might not be in service of Georgian State. To the honor of the judge Aladashvili can be said that he as noody else managed to manifest the fact that in Georgia both Prosecutor's Office and the Court are just but an lawyers' office of the "Northern Bear".

### Protest Action at the Embassy of the USA

On may 31 the relatives and friends of the political prisoners arranged the picketing of the Embassy of the USA. The participants of the action demanded to observe human rights of the defendants Badri Zarandia, Zviad Sherozia, Gurgen Malania, Gabriel Bendeliani, Murman Gulua, Kakha Jijonaia who were removed from the political trial in the Supreme Court. They demanded to return them to their Court hearing. To this demand joined the activists of the defenders of human rights who also demanded to return the political prisoner Mr. Nugzar Molodinashvili, the member of the Supreme Council, who had also been removed from the Court hearing of his Case, and to satisfy his demand about arranging his meeting with the members of international organizations and representatives of the press.

At 2 p.m. the group of citizens arrived to the Embassy of the USA holding the slogans which in Georgian and English languages had inscriptions: "We demand the observance of the rights of the political prisoners", "The Court executes the function of Prosecutor's Office", "We demand to defend the life of the political prisoners", "The presumption of innocence of the political prisoners is violated".

"- I am Badri Zarandia's sister", - stated one of the young ladies, "He is an invalid with amputed leg and was removed from the Court hearing under the pretense of violation of Law, while in reality he was removed because he was demanding justice. The stump of his amputed leg is infected and is suppurating. His health state is extremely serious. He was driven to an extreme when he cut his abdomen, veins to induce his prisoners to transfer him to the hospital. Here are the parents of other prisoners. Political prisoners are on hunger-strike with the same demands. but nobody pays any attention to them. I have entered two statements to the Embassy of the USA hoping that they will show any reaction to them. Now I am induced to demand the justice in this way to save the life of my brother. Terrible thing are happening at the Court hearing."

The pickets had little children with them. May be it was for this reason or for caring of the prestige of the USA Embassy, but the police did not disperse them with their habitual methods. Moreover the Vice Consul and the third Secretary of the Embassy Mr. Timothy Richardson even met Marina Zarandia and promised her to spread her statement and maximally contribute to solving of her problem. On her part Mrs. Zarandia declared that if her demands were not satisfied, she would be impelled to choose the extreme form of the peaceful protest.

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 0441
იბეჭდება ს/ს კეგელში